საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - **პროექტის პირველი კომპონენტის** - ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში - ფარგლებში შემდეგ თანამდებობებზე:

ა) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია), ადგილების რაოდენობა 1;

ბ) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მოქალაქეობა), ადგილების რაოდენობა 1;

გ) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მეწარმეობა), ადგილების რაოდენობა 1.

კონკურსი ცხადდება 14 თებერვლიდან და განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 19 თებერვლის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს იმ ვაკანსიის დასახელება, რომელზედაც აპირებს განაცხადის გაკეთებას (info@eqe.ge -ზე დოკუმენტაციის გამოგზავნას).

კერძოდ,

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მოქალაქეობა)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მეწარმეობა)“

წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) ეროვნულ სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება;

გ) ინტეგრირებულ მოდულებზე მუშაობის გამოცდილება;

დ) საგნობრივ გზამკვლევებზე მუშაობის გამოცდილება.

ზოგადი განათლების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) შესაბამისი მიმართულების მასწავლებლის გზამკვლევის საპილოტე ვერსიის შემუშავება;

ბ) მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა.

კონკურსის შედეგად, ზოგადი განათლების ექსპერტის (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია, მოქალაქეობა, მეწარმეობა) თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეba შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ზოგადი განათლების ექსპერტის (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია, მოქალაქეობა, მეწარმეობა) მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1875 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადაგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.